



იუსტიციის
უმაღლესი სკოლა

წესდება დამტკიცებულია
იუსტიციის უმაღლესი სკოლის
დამოუკიდებელი საბჭოს 2008 წლის
18 აპრილის N1/1 გადაწყვეტილებით

საჯარო სამართლის იურიდიული პირის – იუსტიციის უმაღლესი სკოლის წესდება

წესდებიდან ამონარიდი

მუხლი 11. სკოლის სტრუქტურული ერთეულების საქმიანობა

1. ადმინისტრაციული დეპარტამენტი:

- ა) შეიმუშავებს წინადადებებს საერთაშორისო და დონორ ორგანიზაციებთან თანამშრომლობის შესახებ, მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში ურთიერთობებს მათთან;
- ბ) სკოლის საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, საერთაშორისო და დონორი ორგანიზაციებისათვის შეიმუშავებს პროექტებს, კოორდინირებს და მონაწილეობს მათ განხორციელებაში;
- გ) სკოლის საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, ამზადებს ანგარიშებს სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციებისა და სახელმწიფო ორგანოებისათვის;
 - გ1) საერთო სასამართლოების საჭიროებების ანალიზი;
 - გ2) ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტების ანალიზი;
 - გ3) საქართველოს სახელმწიფოს მიერ ნაკისრი ვალდებულებების ანალიზი;
 - გ4) სხვადასხვა საერთაშორისო და რეგიონული ორგანიზაციების მიერ მომზადებული ანგარიშების, უცხოური და საერთაშორისო ორგანიზაციების რეკომენდაციების, არასამთავრობო ორგანიზაციების ანგარიშებისა და რეკომენდაციების ანალიზი;
 - გ5) განვითარებულ სახელმწიფოებში მოსამართლეთა სწავლების სფეროში არსებული სიახლეებისა და ტენდენციების ანალიზი;
 - გ6) განხორციელებულ ანალიტიკურ სამუშაოებზე დაყრდნობით, შესაბამისი ანგარიშებისა და რეკომენდაციების მომზადება;
- დ) უზრუნველყოფს მასობრივი ინფორმაციის საშუალებებთან და საზოგადოებასთან სკოლის ურთიერთობის კოორდინირებას;
- ე) უზრუნველყოფს პრესკონფერენციებისა და საინფორმაციო ბრიფინგების ორგანიზებას;
- ვ) უფლებამოსილების ფარგლებში უზრუნველყოფს სკოლის ვებგვერდზე ინფორმაციის განთავსებასა და პერიოდულ განახლებას;
- ზ) უზრუნველყოფს სხვადასხვა სოციალურ ქსელებში სკოლის გვერდების მართვას;
- ზ1) უფლებამოსილების ფარგლებში ახდენს სკოლის ვებპორტალების ადმინისტრირებას და ვებპორტალების მომხმარებელთა დახმარებას მისი გამოყენებისას;
- თ) (ამოღებულია - 15.01.2016, №01/1-16);
- ი) (ამოღებულია - 15.01.2016, №01/1-16);
- კ) (ამოღებულია - 15.01.2016, №01/1-16);

ლ) ორგანიზებას უწევს სკოლის მიერ გამართულ ლექციებს, ტრენინგებს, სემინარებს და სხვა სახის სწავლებებს;

მ) სკოლის მსმენელებსა და სასწავლო პროგრამებში ჩართულ სხვა პირებს, ბიბლიოთეკის მეშვეობით უზრუნველყოფს ქართული და უცხოური ლიტერატურით;

ნ) ახორციელებს ამ წესდებით და კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა ფუნქციებს.